საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/ 37

ქ. ბათუმი 23 ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 24-ე მუხლების, წესდების მე–10 და მე-15 მუხლების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის №152786 ბრძანების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 29 აპრილის წერილის (MES8210000432100), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის (N 453959, 19.05.2021 წ), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (14.05.2021 წლის MES9210000447916), ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმის NMES0210000549059), ბსუ-ს რექტორისა და კანცლერისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების 2021 წლის 5 ივლისის მიმართვის (შიდა N673139), იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (შიდა N701978), ,,ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 20 ივლისის წარდგინების (MES 3210000728062) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2021 წლის 15 აგვისტოდან განხორციელდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია, კერძოდ:

1.1. ბსუ-ს სტრუქტურიდან ამოღებული იქნეს (გაუქმდეს) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი.

1.2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტრუქტურიდან ამოღებული იქნეს (გამოეყოს) სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის განყოფილება და ამავე დასახელებით, როგორც სამსახური, დაემატოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სტრუქტურას;

1.3. ბსუ-ს კანცელარიას ეწოდოს ,,ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახური“ (კანცელარია)“.

1.4. ბსუ-ს სტრუქტურიდან ამოღებული იქნეს (გაუქმდეს) ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ამ სამსახურის მოქმედი დებულებით გათვალისწინებული ფუნქციები დაემატოს ბსუ-ს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

1.4.1. ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) - ამ სამსახურის ახალ დებულებაში აისახოს და პერსონალის სამუშაოთა აღწერილობას დაემატოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების სამსახურის მოქმედი დებულებიდან შემდეგი ფუნქციები:

ა) პერსონალის პირადი საქმეების ფორმირება/წარმოება;

ბ) კონკურსების ორგანიზება-ჩატარება;

გ) პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების (მათ შორის აფილირების შეთანხმების) მომზადება/გაფორმება//შენახვა;

დ) პერსონალის შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ე) ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების და პერსონალის ფუნქციათა აღწერილობების სამართლებრივი აქტების პროექტების ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად მომზადება.

1.4.2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ცვლილება შევიდეს ამ სტრუქტურული ერთეულის დებულებაში და პერსონალის სამუშაო აღწერილობას დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

ა) აკადემიური პერსონალის აფილირების შესახებ საერთო საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

ბ) ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტებისა და ამავე დეპარტამენტებში ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტის მომზადება;

გ) ფაკულტეტებიდან ინიცირებული ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსების გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

1.4.3. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს - ცვლილება შევიდეს ამ სტრუქტურული ერთეულის დებულებაში და პერსონალის სამუშაო აღწერილობას დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

ა) ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) ერთად მომზადება;

ბ) ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების და პერსონალის ფუნქციათა აღწერილობების სამართლებრივი აქტების პროექტების ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) ერთად მომზადება.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით **დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ახალი სტრუქტურა N1 დანართის** შესაბამისად.
3. ბსუ-ს მიმართ მიღებული ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნული რეკომენდაციების (ავტორიზაციის 2.1 სტანდარტის კომპონენტთან - ,,ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ მიმართებით) შესრულების მიზნით, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილებაში, ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურასა ან/და მის დებულებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით დამატებით ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - არაუგვიანეს 2021 წლის დეკემბრისა წარმოდგენილი იქნეს წინადადებები ამ სამსახურის დებულების განახლებული პროექტი ან/და ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის ((შიდა აუდიტორების) ფუნქციათა აღწერილობის შესახებ სამართლებრივი აქტის **პროექტი**, **რომელიც:**
ა) სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ,,ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 დეკემბრის N593 დადგენილებით დამტკიცებულ ,,შიდა აუდიტის მეთოდოლოგიასთან“;
ბ) **არ უნდა ითვალისწინებდეს** შიდა აუდიტის სამსახურის მოქმედი დებულებით გათვალისწინებულ, პერსონალის სამუშაოზე გამოცხადების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამუშაო დატვირთვის შესრულების ყოველდღიური მონიტორინგის შესახებ ფუნქციას;
გ) **უნდა ითვალისწინებდეს:** 1. წარმომადგენლობითი საბჭოს მიმართ ანგარიშვალდებულების უფრო მაღალ სტანდარტს (პერსონალის შერჩევის ეტაპზე ჩართულობა; შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების დამტკიცება; წლიური ანგარიშის დამტკიცება ან/და სხვა); 2. შიდა აუდიტორული ანგარიშის მომზადების, ბსუ-ს მართვის ორგანოებისათვის წარდგენისა და განხილვა-დადასტურების დეტალურ დებულებებს; 3. პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის ვალდებულებას; 4. შიდა აუდიტის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. 2021 წლის 15 აგვისტოდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის დებულება“.
5. 2021 წლის 15 აგვისტოდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N11 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება“.
6. წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა ბსუ-ს მართვის ორგანოებთან (რექტორი და კანცლერი) კონსულტაციების გათვალისწინებით/შეთანხმებით, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან ერთად, ხელახლა გადაამუშავოს და არაუგვიანეს 2021 წლის აგვისტოსა წარუდგინოს ბსუ-ს შესაბამის მართვის ორგანოს დასამტკიცებლად შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები:

   ა) ბსუ-ს ,,ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულების პროექტი;

   ბ) ბსუ-ს ,,ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტი;

   გ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;

   დ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტი;

   ე) სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;

   ვ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტი;

   ზ) ,,ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 18 ოქტომბრის N01-08/136 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;

   თ) ,,ბსუ-ში ღონისძიების გამართვის წესის დამტკიცების შესახებ’ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 25 აპრილის N01-08/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;

   ი) ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი (სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ და ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ ბსუ-

ს მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების და წარდგენის საქმისწარმოების ნაწილში);
კ) ბსუ-ს შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტი (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციების მივლინების/ სამუშაოზე გამოცხადების ნაწილში და სხვა);
ლ) სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და სამართლებრივი აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტები, რაც განპირობებულია წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებით ან/და გამომდინარეობს ბსუ-ს მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმის NMES0210000549059) შესრულების მიზნით მიღებული წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 და 07-01/36 გადაწყვეტილებებით (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ჩამონათვალში დამატებების შეტანის საჭიროება).

7. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს კანცელარიას, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**